საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1495
05/05/2022

1495-21-2-202205051037

შპს „გრინლაითჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. №24
ელ.ფოსტა: greenlightgeorgia@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №7741 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, ადლიის დასახლებაში საკვები მცენარეული ზეთების ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძვლად მითითებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-10 პუნქტის 10.2 ქვეპუნქტი (ნარჩენების განთავსება), თუმცა, ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია გამოყენებული საკვები მცენარეული ზეთების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა), დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოში დასამონტაჟებელი თითოეული დანადგარის შესახებ ინფორმაცია და მათი საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე), ასევე აღწერილი უნდა იქნეს ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი, საწარმოში გამოყენებული საკვები მცენარეული ზეთების შეტანიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე;
- დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „№2 რეაქტორი სანთურის მეშვეობით მუშაობს 50-60 გრადუსამდე გაცხელების პრინციპით. პირველ ეტაპზე სანთურის საწვავი იქნება დიზელი, ხოლო შემდეგ კი გადავა ბუნებრივ აირზე.“ დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში საწვავად გამოყენებული დიზელის დროებითი განთავსების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „ტექნოლოგიური რეგლამენტიდან გამომდინარე 1000 ტ/წელ ზეთის ნარჩენების გადასამუშავებლად საჭირო იქნება 1500 ლ/წელ (ანუ 1500 ლ/წელ*0.8=1200 ტ/წელ) დიზელის საწვავი“. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წელიწადში გამოყენებული საწვავის მოცულობა, ვინაიდან, მითითებული 1500 ლიტრი არ არის შესაბამისობაში 1200 ტონასთან. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს

ფუნქციონირების პროცესში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების ანალიზის (ზდკ-ის წილები) შედეგებში. ამასთანავე, აღნიშნულ შედეგებში მოცემული უნდა იყოს საკვები მცენარეული ზეთების გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები;

- დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო გრაფიკის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღების შესახებ ინფორმაცია;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების, დროებითი დასაწყობებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია (აღდგენის ოპერაციის მითითებით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო